# საქართველო: პროექტი Log In Georgia

# (P169698)

## გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა

მოლაპარაკებების პროცესისთვის

მაისი 2025

## გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა

1. არა სამეწარმეო და არა იურიდიული პირი Open Net (NNLE) ახორციელებს პროექტს Log in Georgia საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ზედამხედველობითა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (ComCom) ჩართულობით, როგორც ეს განსაზღვრულია საწყის და დამატებით სასესხო შეთანხმებებში. საერთაშორისო რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი დათანხმდა პროექტისთვის დამატებითი დაფინანსებას გამოყოფას. ეს გეგმა ჩაანაცვლებს პროექტის წინა ვერსიებს გარემოსა და სოციალური ვალდებულებების შესრულების გეგმის (ESCP) ფარგლებში და გავრცელდება როგორც პროექტის საწყის, ისე დამატებით დაფინანსებაზე.

2. *Open Net* უზრუნველყოფს, რომ პროექტის განხორციელება მოხდეს გარემოსა და სოციალური სტანდარტების (ESSs) და გარემოსა და სოციალური ვალდებულებების შესრულების გეგმის (ESCP) შესაბამისად, ბანკისთვის მისაღები ფორმით. ESCP წარმოადგენს შეთანხმების [შეთანხმებების] ნაწილს. თუ ESCP-ში სხვაგვარად არ არის განმარტებული, ამ დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს ენიჭებათ ის მნიშვნელობა, რომელიც მათ შეთანხმებაში [შეთანხმებებში] აქვს მინიჭებული.

3. მიმდიანარე ESCP განსაზღვრავს ზომებსა და ქმედებებს, რომლებიც მსესხებელმა უნდა განახორციელოს ან უზრუნველყოს მათი განხორციელება, მათ შორის შესაბამისი ვადების გათვალისწინებით; ასევე ინსტიტუციური, ადამიანური რესურსების, სწავლების, მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმებით; და საჩივრების მართვის პროცედურებით. ESCP ასევე განსაზღვრავს იმ გარემოსდაცვით და სოციალურ (E&S) დოკუმენტებს, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა მომზადდეს ან განახლდეს, კონსულტაცია გავლილ იქნას და გამოქვეყნდეს ESS სტანდარტებთან შესაბამისობით და ბანკისთვის მისაღები ფორმით. აღნიშნული E&S დოკუმენტები შეიძლება პერიოდულად გადაიხედოს მსოფლიო ბანკთან [ბანკის/ასოციაციის] წინასწარი წერილობითი შეთანხმების შემდეგ. როგორც მითითებულია აღნიშნულ შეთანხმებებში, მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს საკმარისი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა ESCP-ის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად.

4. როგორც ბანკსა და მსესხებელს შორის შეთანხმებით არის განსაზღვრული, ESCP საჭიროების შემთხვევაში პერიოდულად გადაიხედება, რათა მასში მოხდეს

პროექტში განხორციელებული ცვლილებების  მართვის, გაუთვალისწინებელი გარემოებების ან პროექტის შესრულების შედეგებზე რეაგირების ასახვა. ასეთ შემთხვევებში, ბანკი და მსესხებელი შეთანხმდებიან ESCP-ის განახლებაზე, რაც მოხდება მხარეთა შორის გაცვლილი, ხელმოწერილი წერილების საფუძველზე. მსესხებელი ვალდებულია დროულად გამოაქვეყნოს განახლებული ESCP.

5. ქვესექცია „შესრულების მზაობის ინდიკატორები“ განსაზღვრავს იმ მოქმედებებსა და ზომებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს პროექტის მზადყოფნის შესაფასებლად, რათა დაიწყოს მისი განხორციელება ამ ESCP-ის შესაბამისად. თუმცა, ამ ESCP-ში მითითებული ყველა ქმედება და ზომა უნდა განხორციელდეს ქვემოთ არსებულ სვეტში – „ვადები“ – მითითებული გრაფიკის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი შეტანილი აღნიშნულ ქვესექციაში.

| მატერიალური ზომები და ქმედებები | | ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|
| **განხორციელების მექანიზმები და შესაძლებლობების გაძლიერება** | | | |
| A | ორგანიზაციული სტრუქტურა<br>უზრუნველყოფილ იქნას პროექტის განხორციელების ერთეულის (PIU) შენარჩუნება კვალიფიციური პერსონალითა და რესურსებით, მათ შორის გარემოსდაცვითი, სოციალური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის ჩათვლით.რათა მოხდეს პროექტის გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებისა და ზემოქმედებების მართვა. | *ამოქმედების თარიღამდე. შემდგომში — შენარჩუნებულ იქნას პროექტის განხორციელების მთელ პერიოდის განმავლობაში.* | Open Net |
| B | შესაძლებლობების გაძლიერების გეგმა/ღონისძიებები<br>შემდეგი შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების მომზადება და განხორციელება: ზოგადი შესავალი ბანკის გარემოსდაცვითისა და სოციალური ჩარჩოს (ESF) შესახებ და პროექტის თანამშრომელთა ტრენინგი შრომის მართვის პროცედურებზე, ქცევის კოდექსსა და შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე. | *ამოქმედების თარიღის შემდგომ სამი თვის განმავლობაში.* | Open Net |
| **მონიტორინგი და ანგარიშგება** | | | |

| მატერიალური ზომები და ქმედებები | | ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|
| C | **რეგულარული ანგარიშგება**<br>მომზადებული და ბანკში რეგულარულად იქნას წარდგენილი მონიტორინგის ანგარიშები პროექტის გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (E&S)ნსაკითხების შესრულების შესახებ. ანგარიშები უნდა მოიცავდეს შემდეგ თემებს:<br><br>• ESCP-ის ფარგლებში საჭირო E&S დოკუმენტების მომზადებისა და განხორციელების სტატუსი;<br>• დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობების შეჯამება;<br>• გასაჩივრების მექანიზმში წარდგენილი საჩივრები, საჩივრების ჟურნალი და მათი გადაჭრის პროგრესი;<br>• კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების E&S საკითხების შესრულების სტატუსის, როგორც ეს ასახულია მათი და ზედამხედველობის კონსულტანტების ანგარიშებში;<br>• E სექციაში მითითებული მოქმედების მიხედვით დაფიქსირებული ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების რაოდენობა და მათი გადაჭრის სტატუსი. | *ყოველ ექვს თვეში ერთხელ პროექტის განხორციელების პერიოდში.*<br>*თითოეული ანგარიში წარდგენილ იქნას ბანკში საანგარიშო პერიოდის გასვლიდან ერთი თვის ვადაში.* | Open Net |
| D | **კონტრაქტორის ყოველთვიური ანგარიშები**<br>კონტრაქტორებისგან და ზედამხედველი კონსულტანტებისგან ყოველთვიური E&S მონიტორინგის ანგარიშების მოთხოვნა, შესაბამის სატენდერო დოკუმენტებსა და კონტრაქტებში განსაზღვრული მაჩვენებლების შესაბამისად, და ამ ანგარიშების ბანკში წარდგენა. | *კონტრაქტორის და ზედამხედველი კონსულტანტის ყოველთვიური ანგარიშების წარდგენა ბანკისთვის, მოთხოვნის შემთხვევაში.* | Open Net |

| | | | |
|---|---|---|---|
| E | **ინციდენტები და საგანგებო შემთხვევები**<br>ბანკს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინცინდენტის ან ავარიის შემთხვევაში, რომელსაც აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა გარემოზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე, საზოგადებასა თუ მუშებზე. ეს შეიძლება მოიცავდეს გარდაცველებას ან სხეულის მნიშვნელოვან დაზიანებას; ძალადობის აქტებს, დისკრიმინაციის აქტებს, საპროტესტო ქმედებებს, გაუთვალისწინებელ ზემოქმედებას კულტურულ მემკვიდრეობასა და ბიომრავალფეროვნებაზე; გარემოს დაბინძურებას; კაშხლის გარღვევას; ბავშვთა იძულებით შრომას; იძულებით გადაადგილებას; სექსუალურ ექსპლუატაციას და სექსუალურ ძალადობას; დაავადებების მასობრივი გაჩენა/ დაავადების აფეთქებას;<br>მოთხოვნის შემთხვევაში ინციდენტის ყველა ცნობილი დეტალის მიწოდება ბანკისთვის.<br><br>ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შესაბამისი განხილვა მისი უშუალო, ფარული და ძირეული მიზეზების დასადგენად.<br>მაკორექტირებელი ქმედებების გეგმის მომზადება, ბანკთან შეთანხმება და განხორციელება.<br>გეგმა განსაზღვრავს ღონისძიებებსა და ქმედებებს ინციდენტის ან უბედური შემთხვევის აღმოსაფხვრელად და მისი განმეორების თავიდან ასაცილებლად. | *პირველი შეტყობინების წარდგენიდან, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში ბანკისთვის ანგარიშისა და მაკორექტირებელი ქმედებების გეგმის წარდგენა თუ ბანკთან წერილობით არ იქნება შეთანხმებული სხვა ვადა.* | Open Net |

| მატერიალური ზომები და ქმედებები | | ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|
| | | | |
| **ESS 1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების შეფასება და მართვა** | | | |
| 1.1 | **გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების დოკუმენტები და/ ან გეგმები**<br>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს დოკუმენტის (ESMF) განახლება, განხორციელება და პერიოდულად განახლება პროექტისათვის შესაბამის ESS-ებთან თანხვედრაში. დოკუმენტმა უნდა განსაზღვროს წესები და პროცედურები ქვეპროექტის სპეციფიკური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასებისთვის, ასევე ქვეპროექტის შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების (ESMP-ების) მოსამზადებლად.<br>ქვეპროექტის შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების (ESMP-ების) მომზადება და განხორციელება. ეს გეგმები უნდა შეესაბამებოდეს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს დოკუმენტს (ESMF) შესაბამის ESS სტანდარტებს. | *ESMF დოკუმენტის განახლება ამოქმედების თარიღიდან ერთი თვის ვადაში და შემდგომ განხორციელება პროექტის მიმდინარეობისას.*<br>*ქვეპროექტის შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების (ESMP-ების) მომზადება და სატენდერო პაკეტში ჩართვა შესყიდვების სამუშაოების დაწყებამდე.*<br>*კონტრაქტორისთვის ESMP-ს განხორციელების მოთხოვნა პროექტის განმავლობაში.* | Open Net |

| მატერიალური ზომები და ქმედებები | | ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|
| 1.2 | **კონტრაქტორების მართვა**<br>ESCP -ს, ESMF -ის და ESMP-ს შესაბამისი ასპექტების , მათ შორის შრომის მართვის პროცედურის, ქცევის კოდექსის, შემთხვევითი აღმოჩენების პროცედურის ჩართვა შესყიდვების დოკუმენტაციის გარემოსდაცვით და სოციალურ სპეციფიკაციების ნაწილში და კონტრაქტორებისა და ზედამხედველი კონსულტანტების კონტრაქტებში. კონტრაქტორების, ქვეკონტრაქტორებისა და ზედამხედველი კონსულტანტების მიერ კონტრაქტების გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა. კონტრაქტორებთან და ზედამხედველ კონსულტანტებთან დადებული კონტრაქტების ასლების ბანკისთვის მიწოდება.<br><br>ESMP დოკუმენტის სამუშაოების ყველა კონტრაქტში ჩართვა. კონტრაქტორების მიერ ESMP-ს მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა. | *კონტრაქტორების ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში . როგორც შესყიდვების დოკუმენტაციისა და შესაბამისი კონტრაქტების ნაწილი.*<br>*პროექტის განხორციელების პერიოდში კონტრაქტორების ზედამხედველობა.*<br>*მოთხოვნის შემთხვევაში კონტრაქტის ასლების ბანკისათვის მიწოდება.* | Open Net |

| მატერიალური ზომები და ქმედებები | | ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|
| 1.3 | ტექნიკური დახმარება<br>პროექტის ფარგლებში კონსულტაციების, კვლევების (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელებადობის კვლევების), შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების, ტრეინინგების და ნებისმიერი სხვა ტექნიკური დახმარების აქტივობების განხორციელება, რომლებიც შეესაბამება ბანკისთვის მისაღებ ტექნიკურ დავალებებს და  გარემოსა და სოციალური სტანდარტების მოთხოვნებს (ESSs).<br><br>ამის შემდგომ, აღნიშნული აქტივობების საბოლოო პროდუქტების მომზადება და დასრულება აღნიშნული დავალებების შესაბამისად და ბანკისათვის მისაღები ფორმით. | *როგორც ტექნიკური დახმარების ტექნიკური დავალების მომზადების ნაწილი.* | Open Net |
| **ESS 2: შრომითი და სამუშაო პირობები** | | | |
| 2.1 | შრომის მართვის პროცედურები<br>პროექტის შრომის მართვის პროცედურების (LMP) განახლება განხორციელება და  მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისთვის მისაღები ფორმით. | *შრომის მართვის პროცედურების განახლება ამოქმედების თარიღიდან ერთი თვის ვადაში. განხორციელება პროექტის მიმდინარეობისას.* | Open Net |

| მატერიალური ზომები და ქმედებები | | ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|
| 2.2 | ჯანმრთელობისა და შრომის საფრთოების დაცვის გეგმა<br>ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების (OHS) მართვის გეგმის მომზადება, განახორციელება და საჭიროებისამებრ განახლება დამსაქმებლის გარემოსა და სოციალური მენეჯმენტის გეგმის (ESMP) ფარგლებში, რათა მოხდეს პროექტის OHS რისკების და ზემოქმედებების შეფასება და მართვა. კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორებისგან ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების გეგმის მომზადებისა და განხორციელების მოთხოვნა, ქვეპროექტის შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების (ESMP-ების) თანახმად. სპეციფიკური საკითხები უნდა მოიცავდეს: მიუწვდომელ, შორეულ ადგილებში მუშაობას, სიმაღლეზე მუშაობას, გზის პირას მუშაობას (სადაც არსებობს სატრანსპორტო შემთხვევების რისკი), მძიმე ტექნიკასთან მუშაობას და სხვა მსგავს გარემოებებს. | *ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების განხორციელება პროექტის მიმდინარეობისას* | Open Net |
| 2.3 | გასაჩივრების მექანიზმი პროექტის მუშებისთვის<br>გასაჩივრების მექანიზმის ქონა პროექტის მუშებისთვის, შრომის მართვის პროცედურების (LMP)სა და ESS2 თანახმად. | *პროექტის მიმდინარეობისას.* | Open Net |
| **ESS 3: რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა** | | | |

| მატერიალური ზომები და ქმედებები | | ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|
| 3.1 | ნარჩენების მართვა:<br>დამსაქმებლის გარემოსა და სოციალური მენეჯმენტის გეგმის (ESMP) ფარგლებში ნარჩენების მართვის გეგმის (WMP) მომზადება, განხოციელება და საჭიროებისამებრ განახლება, რათა მოხდეს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ESS3-ისა და შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მართვა.<br>სპეციფიკური საკითხები, რომლებიც უკავშირდება ამოღებული გრუნტის, ასფალტის/ბეტონის ნარჩენების, შეფუთვის ნარჩენების, კაბელებთან დაკავშირებული ნარჩენებისა და საშიში ნარჩენების (როგორიცაა ასბესტის შემცველი ნამსხვრევები) მართვას, აისახება კონკრეტულ ქვეპროექტის შესაბამის ESMP-ებში.<br><br>ოპერირების ეტაპზე, ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევაში, თუ ინტერნეტის მომსახურების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად საჭირო იქნება ალტერნატიული ენერგიის წყაროების (როგორიცაა ბატარეები ან დიზელის გენერატორები) გამოყენება, შემდეგი ზომები უნდა იქნას მიღებული:<br>(i) გამოყენებული ბატარეები, როგორც პრიორიტეტული ვარიანტი, დაუბრუნდება მიმწოდებელს ან დამუშავდება ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად;<br>(ii) შეირჩევა და დამონტაჟდება ენერგოეფექტური გენერატორები გარეთ ან კარგად ვენტილირებად შენობებში, იმგვარად რომ მინიმუმამდე დაიყვანოს ხმაურისა და გამონაბოლქვის ზეგავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე. | *ნარჩენების მართვის გეგმის (WMP) მომზადება, სამუშაოების კოტრაქტში შეტანა და განხორციელების უზრუნველყოფა პროექტის მიმდინარეობისას.* | Open Net |

| მატერიალური ზომები და ქმედებები | | ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|
| | **რესურსების ეფექტიანობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა**<br>რესურსების ეფექტიანობის, დაბინძურების პრევენციისა და მართვის ზომების ქვეპროექტის შესაბამის გარემოსა და სოციალური მენეჯმენტის გეგმებში (ESMP-ებში) და სამუშაოების შემსრულებლების საკონტრაქტო მოთხოვნებში შეტანა. | *პროექტის განხორციელების პერიოდში* | Open Net |
| **ESS 4: თემის/ ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება** | | | |
| 4.1 | **მოძრაობის და გზების უსაფრთხოება**<br>პროექტის გარემოსა და სოციალური მენეჯმენტის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) შესაბამისად, სატრანსპორტო მოძრაობის მართვის გეგმების (TMP-ების) შემუშავებისა და განხორციელების მოთხოვნის სამოქალაქო სამუშაოების შესასრულებლად გამოცხადებული ტენდერის დოკუმენტაციაში შეტანა. კონტრაქტორების მიერ TMP-ების შესრულების გააკონტროლება.<br>TMP-ები უნდა შეიცავდეს ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს გზისპირებსა და გზის გვერდულებზე თანამშრომლების უსაფრთხოებას. | *მოთხოვნების შეტანა სატენდერო დოკუმენტაციაში; პროექტის განხორციელების პროცესში შესრულების თვალყურის დევნება.* | Open Net |
| 4.2 | **თემის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.**<br>საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნების ქვეპროექტის სპეციფიურ გარემოსა და სოციალური მენეჯმენტის გეგმებში (ESMP-ებში) და სამოქალაქო სამუშაოების შესრულების კონტრაქტებში შეტანა. კონტრაქტორების მიერ აღნიშნული მოთხოვნების შესრულების თვალყურის დევნება. | *მოთხოვნების შეტანა ESMP-ებში და სატენდერო დოკუმენტაციაში; პროექტის განხორციელების პროცესში შესრულების თვალყურის დევნება.* | Open Net |
| | | | |

| მატერიალური ზომები და ქმედებები | | ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|
| 4.3 | GBV და SEA და SH რისკები.<br>პროექტის გარემოსა და სოციალური მენეჯმენტის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) მოთხოვნების შესაბამისად ქვეპროექტის შესაბამის გარემოსა და სოციალური მენეჯმენტის გეგმებში (ESMP-ებში) სქესობრივი ექსპლუატაციისა და შევიწროების (SEA/SH) რისკების პრევენციისა და შემცირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების შეტანა და მათი შესრულების უზრუნველყოფა.<br>ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: თანამშრომლისთვის ქცევის კოდექსის შემუშავებასა და მის დაცვას, SEA/SH-სენსიტიური საჩივრების მართვის მექანიზმის უზრუნველყოფას, თანამშრომლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას SEA/SH რისკებსა და პრევენციული ზომების შესახებ. | *გარემოსა და სოციალური მენეჯმენტის გეგმებში (ESMP-ებში) შესაბამისი ღონისძიებების შეტანა. პროექტის განხორციელების პროცესში შესრულების თვალყურის დევნება.* | Open Net |
| **ESS 5: მიწის შესყიდვა, მიწის მოხმარების შეზღუდვები და არა ნებაყოფლობითი განსახლება** | | | |

| მატერიალური ზომები და ქმედებები | | ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|
| 5.1 | **განსახლების ჩარჩო დოკუმენტი და გეგმები.**<br>განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) განახლება ESS 5-ს მიხედვით.<br>განსახლების გეგმების (RAPs) მომზადება, მიღება და განხორციელება ESS 5 -ის და პროექტის განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) მოთხოვნების შესაბამისად. RAP -ების მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცების უზრუნველყოფა მათი განხორციელების დაწყებამდე, მსოფლიო ბანკისთვის მისაღები ფორმით. | განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) განახლება პროექტის ამოქმედების თარიღიდან ერთი თვის ვადაში და მისი განხორციელების უზრუნველყოფა პროექტის მიმდინარეობისას.<br><br>განახორციელეთ გადასახლების მოქმედების გეგმები (RAP-ები) შესაბამისი პროექტის აქტივობების დაწყებამდე. | Open Net |
| **ESS 6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა** | | | |
| ეს ESS არ არის რელევანტური პროექტისთვის. | | | |
| **ESS 7: მკვიდრი მოსახლეობა/საჰარის სამხრეთით აფრიკის ადგილობრივი მოსახლეობა** | | | |
| ეს ESS არ არის რელევანტური პროექტისთვის. | | | |
| **ESS 8: კულტურული მემკვიდრეობა** | | | |

| მატერიალური ზომები და ქმედებები | | ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|
| 8.1 | **შემთხვევითი აღმოჩენები**<br>შემთხვევითი აღმოჩენების პროცედურის ქვეპროექტის შესაბამის გარემოსა და სოციალური მენეჯმენტის გეგმებსა (ESMP) და სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაციაში შეტანა.<br>კონტრაქტორის მიერ პროცედურის შესრულების თვალყურის დევნება; | *პროცედურის შეტანა ქვეპროექტის შესაბამის გარემოსა და სოციალური მენეჯმენტის გეგმებისა (ESMP) და სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებისას.*<br>*პროცედურის მოთხოვნების დაცვის თვალყურის დევნება პროექტის განხორციელებისას.* | Open Net |
| **ESS 9: ფინანსური შუამავლები** | | | |
| ეს ESS არ არის რელევანტური პროექტისთვის. | | | |
| **ESS 10: დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ინფორმაციის გასაჯაროება** | | | |
| 10.1 | **დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა**<br>ESS10-ის შესაბამისად პროექტის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა (SEP) განაახლება და განახორციელება. გეგმა უნდა მოიცავდეს ზომებს, რომლებიც, მათ შორის, უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისთვის დროულ, შესაბამის, გასაგებ და ხელმისაწვდომ ფორმატში ინფორმაციის მიწოდებას, ასევე მათთან კონსულტაციას კულტურულად შესაბამისი ფორმით — ჩარევის, ზეწოლის, იძულების, დისკრიმინაციისა და დაშინების გარეშე. | *SEP განახლება პროექტის ამოქმედების თარიღიდან ერთი თვის ვადაში და მისი განხორციელების უზრუნველყოფა პროექტის მიმდინარეობისას.* | Open Net |

| მატერიალური ზომები და ქმედებები | | ვადები | პასუხისმგებელი უწყება |
|---|---|---|---|
| 10.2 | **პროექტის საჩივრების მექანიზმი:**<br>ESS10-ის პრინციპების დაცვით საჩივრების მექანიზმის ფუნქციონირების შენარჩუნება და ხელმისაწვდომობა, რათა პროექტთან დაკავშირებული საკითხებისა და საჩივრების მიღება და გადაჭრა მოხდეს ოპერატიულად, ეფექტიანად და გამჭვირვალედ — კულტურულად შესაბამისი ფორმით, მარტივად ხელმისაწვდომად ყველა პროექტით დაზარალებული მხარისთვის, უფასოდ და ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, მათ შორის ანონიმურად წარდგენილი საჩივრების შემთხვევაში,<br><br>საჩივრების მექანიზმი უნდა იყოს აღჭურვილი სქესობრივი ექსპლუატაციისა და შევიწროების (SEA/SH) საჩივრების მიღებისა და რეგისტრაციისთვის, ასევე მათი გადაჭრის ხელშეწყობისთვის, მათ შორის დაზარალებულთა გადამისამართებით უსაფრთხო, კონფიდენციალურ და დაზარალებულზე ორიენტირებულ გარემოში. | *პროექტის საჩივრების მექანიზმი დაცვა პროექტის მიმდინარეობისას* | Open Net |
| **განხორციელების მზაობის ინდიკატორები** | | | |
| განხორციელების მზაობის ინდიკატორები შემდეგია : A, 1.1, 2.1, 5.1, 10.1 | | | |